

ნარცისული პიროვნული მახასიათებლები: ტენდენციები და კავშირი
სტრესზე რეაქციის „იბრძოლე ან გაიქეცი“ პიროვნულ
თავისებურებებთან

ნიკა ერგემლიძე

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და
ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია,
კლინიკური ფსიქოლოგია) კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ კორინთელი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2020

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სარჩევი

აბსტრაქტი.....	iv
საკვანძო სიტყვები:.....	v
Abstract.....	vi
თემის აქტუალურობა	1
ლიტერატურის მიმოხილვა.....	4
1.1 ნარცისიზმის სტრუქტურული და ფუნქციური ფსიქოლოგიური მოდელები.....	4
1.2 ნარცისიზმის ნეირობიოლოგიური მოდელი.....	8
1.3 ნარცისისტული პიროვნული დარღვევის ეპიდემიოლოგია მატების ნიშნები	10
1.4 ნარცისიზმის ჩამოყალიბების სოციალური ფაქტორები.....	11
1.5 სტრესის ფსიქო - ფიზიოლოგიური მექანიზმი	13
1.6 ქრონიკული სტრესი.....	16
1.7 რეაქცია იბრძოლე ან გაიქეცის სტრუქტურული და ფუნქციური მექანიზმი.....	17
კვლევის მეთოდები.....	22
მონაცემთა ანალიზი.....	23
დისკუსია.....	25
დასკვნა	25
დანართი #1.....	26
დანართი #2.....	31
გამოყენებული ლიტერატურა.....	33

აბსტრაქტი

ნარცისიზმი ნებისმიერი ადამიანის პიროვნული მახასიათებელია, რომელიც პიროვნების საკუთარ თავთან და სხვებთან ურთიერთობაში ვლინდება. ნარცისიზმში საკუთარი თავის მოწონება მოიაზრება. ერთის მხრივ ის ასრულებს გადარჩენის და თვითშენარჩუნების ფუნქციას, მეორეს მხრივ კი შესაძლოა პათოლოგიური ნარცისიზმის სახით მოგვევლინოს. პათოლოგიური ნარცისიზმი ხასიათდება საკუთარი თავის განდიდებით, იდეალიზაციით, ეგზიზციონიზმით, უპირატესობის და ძალაუფლების მოპოვებისკენ სწრაფვით, ემპათიის დეფიციტით, სხვა ადამიანების გაუფასურების, უარყოფის და ექსპლუატატორულ - მანიპულაციური ტენდენციებით. ნარცისიზმის შესახებ შეხედულებები არაერთგვაროვანია, შესაბამისად საინტერესოა ვიცოდეთ თუ როგორ რეაგირებენ ნარცისული ტენდენციების მატარებელი ინდივიდები სტრესულ სიტუაციებში, რამდენად შეუძლიათ მათ ადაპტაციური ქცევების ჩვენება. ადამიანის ფიზიოლოგიური რეაქცია სტრესორზე ვლინდება „იბრძოლე“ „გაიქეცი“ რეაქციით. რეაქცია აისახება როგორც ორგანოთა სისტემების ფიზიოლოგიურ ცვლილებებში, ასევე ქცევაში, რომელიც ვლინდება სტრესორის აქტიურ („იბრძოლე“) ან პასიურ („გაიქეცი“) თავიდან აცილებაში. ჩვენ ინტერესს წარმოადგენს ნარცისიზმის და რიგ - ის ურთიერთკავშირი, ხომ არ შეიძლება რომ მაღალი ნარცისული ტენდენციების მქონე ინდივიდები სტრესულ სიტუაციებში უფრო ადაპტურები იყვნენ, ან პირიქით. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ჩვენ ჩამოვაცალიბეთ შემდეგი ჰიპოთეზა. ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, მაღალი ნარცისული ტენდენციების მქონე ინდივიდები სტრესულ სიტუაციებში ავლენენ „იბრძოლე“ რეაქციის ტენდენციას.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად, გამოვიკვლიეთ 155 ადამიანი (18-50 წ), მათგან 23 კაცი და 132 ქალი. ნარცისული ტენდენციები შეფასდა რასკინის და ტერის „ნარცისისტული პიროვნების ინვენტარი“ - ს საშუალებით. კითხვარი შედგება 40 დებულებისგან, რომლის მიზანია ნარცისული პიროვნული ტენდენციების გამოვლენა. ტენდენციები „იბრძოლე“ ან „გაიქეცი“ შეფასდა კუპერის „გამღიერებული სენსიტიურობის თეორია და პიროვნების კითხვარი“ - ს დახმარებით. კითხვარი შედგება 18 დებულებისგან, რომელთა მიზანია აღნიშნული ტენდენციების გამოვლენა. კვლევაში

მონაწილეებისთვის ცნობილი იყო აღნიშნული კვლევის მიზანი, მათ წინასწარ ეცნობათ კვლევის ანონიმურობის შესახებ, რის შემდეგაც მათ ზემოთაღნიშნული 2 კითხვარი ელექტრონული გზით შეავსეს.

კვლევის შედეგებმა დაადასტურა ჩვენი ჰიპოთეზა: მაღალი ნარცისული ტენდენციების მქონე ინდივიდები, სტრესულ სიტუაციებში ავლენენ „იბრძოლე“ რეაქციის ტენდენციას. ნარცისული ტენდენციების მატება ძლიერ კავშირში აღმოჩნდა „იბრძოლე“ ტენდენციის ზრდასთან.

საკვანძო სიტყვები: *ნარცისიზმი, სტრესზე რეაქცია, იბრძოლე ან გაიქეცი, პიროვნული თავისებურებები*

Abstract

Narcissism is a personal characteristic of any person, which is revealed in the relationship with himself/herself and others. Narcissism implies self-approval. On the one hand, it performs the function of survival and self-preservation. On the other hand, we can meet it as a form of pathological narcissism. Pathological narcissism is characterized by self-praise, idealization, exhibitionism, the desire to get superiority and power, lack of empathy, depreciation, rejection and exploitative-manipulative tendencies of other people. Views about narcissism are different. Therefore, it is interesting to know how people with narcissistic tendencies respond to stressful situations and how do they manage to exhibit adaptive behavior. The physiological reaction of a person on the stressor is revealed in the reaction of “ fight-or-flight response ” (“fight or run away). The reaction is reflected in physiological changes in organ systems, as well as in behavior that is revealed in active (“fight”) or passive (“run away”) stress avoidance itself. We are interested to know the link between narcissism and number of other factors, is it possible for people with high narcissistic tendencies to be more adapted to stressful situations or vice versa. Based on this point of view, we formulated the following hypothesis. According to our hypothesis, people with high narcissistic tendencies show a tendency to “fight” in stressful situations.

In order to prove the hypothesis, we examined 155 people (18-50 years old), 23 of which were men and 132 were women. Narcissistic tendencies were evaluated by “Narcissistic Personality Inventory “ of Raskin and Terry. The questionnaire consists of 40 provisions, the aim of which is to identify narcissistic personal tendencies. The “ fight-or-flight response ” tendencies were evaluated using Cooper's “Reinforcement Sensitivity Theory of Personality Questionnaire”. The questionnaire consists of 18 provisions the aim of which is to identify the mentioned tendencies. The research participants were informed about the purpose of the research, they were informed in advance about the anonymity of the study, after which they have completed 2 of the aforementioned questionnaire in electronic form.

The research results confirmed our hypothesis: people with high narcissistic tendencies in stressful situations tend to reveal the “fight” reaction. The growths of narcissistic tendencies have strong relationship with the growth of the “fight” tendency.

Key Words: *Narcissism, stress response, fight-or-flight response, personal attributes*